შპს სულხან-საბა ორბელიანის
უნივერსიტეტი

თბილისი 24 იანვარი 2022 წ.

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა # 05-22

2021–2022 სასწავლო წლის გაზაფხულის სემესტრში სხვა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებიდან მობილობით ჩარიცხვისათვის ვაკანტური ადგილების, ვადებისა და წარმოსადგენი დოკუმენტაციის განსაზღვრის შესახებ

უნივერსიტეტის დებულების მე-8 მუხლის მე-5 პუნქტის 5.3 ქვეპუნქტით, რექტორისათვის მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში, *(დებულება განახლებული რედაქციით დამტკიცებული უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს მიერ, 2021 წლის 05 აპრილი, #03-21 საოქმო გადაწყვეტილებით)*, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 4 თებერვლის „უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებიდან სხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში გადასვლის წესის დამტკიცების შესახებ“ №10/ნ ბრძანების პირველი პუნქტით დამტკიცებული წესის მე-2 მუხლის მე-3 პუნქტის „ა“ „ბ“ და „გ“ ქვეპუნქტების, სსიპ - განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის უფროსის 2022 წლის 11 იანვარს „2021-2022 სასწავლო წლის გაზაფხულის სემესტრში, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სტუდენტის ერთი დაწესებულებიდან სხვა დაწესებულებაში გადასვლის (მობილობის) პროცესის ადმინისტრირებასთან დაკავშირებული ვადების განსაზღვრის შესახებ“ №1.1/1 ბრძანების (MES 1 22 001.1/1), უნივერსიტეტის „სასწავლო პროცესის დებულების“ 23-ე პუნქტის *(დებულება განახლებული რედაქციით დამტკიცებული რექტორის 2021 წლის 16 ივლისის N121-21 ბრძანებით)*, სასწავლო პროცესის მართვის სამსახურის შუამდგომლობის (#6; 24.01.22) საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. განისაზღვროს 2021–2022 სასწავლო წლის გაზაფხულის სემესტრში სულხან-საბა ორბელიანის უნივერსიტეტში ბაკალავრიატისა და მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამებზე პირთა მობილობის წესით ჩარიცხვისათვის ვაკანტური ადგილები შემდეგი სახით:

№	საფეხური	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	ვაკანტური ადგილების რაოდენობა	შენიშვნა
1	ბაკალავრიატი	სამართლის საგანმანათლებლო პროგრამა	20	
2	ბაკალავრიატი	საერთაშორისო ურთიერთობების საგანმანათლებლო პროგრამა	3	
3	ბაკალავრიატი	ბიზნესის ადმინისტრირების საგანმანათლებლო პროგრამა	5	
4	ბაკალავრიატი	ტურიზმის საგანმანათლებლო პროგრამა	2	
5	ბაკალავრიატი	ფსიქოლოგიის საგანმანათლებლო პროგრამა	5	იხსნება პირველი, მეორე, მესამე და მეოთხე სემესტრის საგნები
6	ბაკალავრიატი	სოციოლოგიის საგანმანათლებლო პროგრამა	2	იხსნება პირველი, მეორე, მესამე და მეოთხე სემესტრის საგნები
7	ბაკალავრიატი	პოლიტიკის მეცნიერების საგანამანათლებლო პროგრამა	2	იხსნება პირველი, მეორე, მესამე და მეოთხე სემესტრის საგნები
8	ბაკალავრიატი	თეოლოგიის საგანმანათლებლო პროგრამა	2	
9	მაგისტრატურა	საჯარო მმართველობის საგანმანათლებლო პროგრამა	2	
10	მაგისტრატურა	ბიზნესის ადმინისტრირების საგანმანათლებლო პროგრამა	5	

2. განისაზღვროს 2021–2022 სასწავლო წლის გაზაფხულის სემესტრში სულხან-საბა ორბელიანის უნივერსიტეტში ბაკალავრიატისა და მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამებზე პირთა მობილობის წესით ჩარიცხვის ვადები შემდეგი სახით:

2.1. სსიპ - განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის ელექტრონულ პორტალზე რეგისტრაციის შემდეგ (2022 წლის 28 იანვრიდან - 2022 წლის 08 თებერვლის 18:00 საათამდე), რეგისტრაციის შედეგების გათვალისწინებით.

2.2. მობილობის წესით ჩარიცხვის მსურველი პირების საბუთების მიღება და კრედიტების აღიარება 2022 წლის 09 თებერვლიდან -14 თებერვლის ჩათვლით.

2.3. მობილობის წესით ჩარიცხვის მსურველი პირებისათვის აღიარებული კრედიტების გაცნობა და ხელშეკრულებების დადება 2022 წლის 15-16 თებერვალი.

2.4. მობილობის წესით ჩარიცხვის ბრძანების პროექტის საგანმანათლებლო დაწესებულებების რეესტში ელექტრონულად ასახვა 2022 წლის 18 თებერვალი.

მობილობის პროცესში (ჩარიცხვამდე) წარმოსადგენ დოკუმენტაციად განისაზღვროს:

ა) სარეგისტრაციო განაცხადი (ივსება ადგილზე);
ბ) ბაკალავრების შემთხვევაში სრული ზოგადი განათლების დამადასტურებელი დოკუმენტის (შესაბამისი განათლების სხვა ქვეყნის საგანმანათლებლო დაწესებულებაში მიღების შემთხვევაში - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ გაცემული განათლების აღიარების დოკუმენტის) ასლი. მაგისტრატურის შემთხვევაში ბაკალავრის ან მასთან გათანაბრებული დიპლომის და დიპლომის დანართის (შესაბამისი განათლების სხვა ქვეყნის საგანმანათლებლო დაწესებულებაში მიღების შემთხვევაში - საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ კვალიფიკაციასთან გათანაბრების დამადასტურებელი დოკუმენტი) ასლი,
გ) პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის (პირადობის მოწმობა/ID ბარათი) ასლი, დედნის წარმოდგენით (უცხო ქვეყნის მოქალაქეობის შემთხვევაში პასპორტის/პირადობის მოწმობის ასლი და სანოტარო წესით დამოწმებული თარგმანი);
დ) ფოტოსურათი 3x4 და ელ. ვერსია (CD/DVD მატარებელზე);
ე) სამხედრო აღრიცხვაზე ყოფნის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი (სამხედრო აღრიცხვას დაქვემდებარებულმა პირებმა, საქართველოს მოქალაქეებმა)
ვ) გამომშვები უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ გაცემული (ბეჭდით დამოწმებული) - ცნობა სტუდენტის სტატუსის შესახებ. ამონაწერი სტუდენტის სტატუსის შეჩერების/შეწყვეტის ბრძანებიდან (არსებობის შემთხვევაში, სტატუსის შეწყვეტის ბრძანების შემთხვევაში - აუცილებელია სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის საფუძვლის მითითება). ამონაწერი სასწავლო ბარათიდან შესწავლილი სასწავლო კურსების/პროგრამის კომპონენტების, შესაბამისი კრედიტებისა და მიღებული შეფასებების მითითებით.

შენიშვნა: მობილობის წესით ჩარიცხვის მსურველ პირებს, ამ პუნქტის „ა-ვ" პუნქტებით განსაზღვრული დოკუმენტაციის გარდა, კრედიტების აღიარების პროცესში, დამატებით შეიძლება მოეთხოვოს ცალკეული გავლილი სასწავლო კურსების პროგრამების (სილაბუსები) წარმოდგენა.

3. მობილობის წესით ჩარიცხვის შემთხვევაში, ჩარიცხვიდან არაუგვიანეს ორი კვირის ვადაში წარმოსადგენ დოკუმენტაციად განისაზღვროს:

ა) ბაკალავრების შემთხვევაში სრული ზოგადი განათლების დამადასტურებელი დოკუმენტის (შესაბამისი განათლების სხვა ქვეყნის საგანმანათლებლო დაწესებულებაში მიღების შემთხვევაში - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ გაცემული განათლების აღიარების დოკუმენტის) დედანი. მაგისტრატურის შემთხვევაში ბაკალავრის ან მასთან გათანაბრებული დიპლომის და დიპლომის დანართის (შესაბამისი განათლების სხვა ქვეყნის საგანმანათლებლო დაწესებულებაში მიღების შემთხვევაში - საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ კვალიფიკაციასთან გათანაბრების დამადასტურებელი დოკუმენტი) დედანი;

ბ) შევსებული სპეციალური ანკეტა (სტუდენტს შეუძლია მიიღოს ანკეტა უნივერსიტეტში);

გ) სწავლის საფასურის დადგენილი წესით გადახდის დამადასტურებელი ქვითარი (უნივერსიტეტის საბანკო ანგარიშის რეკვიზიტებს სტუდენტი მიიღებს უნივერსიტეტში);

დ) გამომშვები უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ გაცემული (ბეჭდით დამოწმებული) - სტუდენტის პირადი საქმე (პირად საქმეში არსებული დოკუმენტაცია);

ე) სამხედრო აღრიცხვაზე ყოფნის დამადასტურებელი დოკუმენტის დედანი (სამხედრო აღრიცხვას დაქვემდებარებულმა პირებმა, საქართველოს მოქალაქეებმა);

ვ) მობილობის შედეგად სტატუსის შეწყვეტის ბრძანებიდან ამონაწერი.

4. ამ ბრძანების მე-2 და მე-3 პუნქტებით განსაზღვრული დოკუმენტაციის მიღება განხორციელდეს უნივერსიტეტის კანცელარიაში, სამუშაო დღეებში (ორშაბათიდან პარასკევის ჩათვლით) 10^{00} - დან 17^{00} საათამდე მისამართზე კ. ქუთათელაძის ქ. №3.
5. დაევალოს უნივერსიტეტის საქმისწარმოების მენეჯერს ბრძანების დაინტერესებული პირებისათვის გაცნობა და უნივერსიტეტის საინფორმაციო დაფაზე განთავსება (ც. ხითარიშვილი).
6. დაევალოს უნივერსიტეტის საზოგადოებასთან ურთიერთობებისა და მარკეტინგის მენეჯერს ბრძანების უნივერსიტეტის ოფიციალურ ვებ-გვერდზე (www.sabauni.edu.ge) განთავსება.
7. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

რექტორი, პროფესორი **ვაჟა ვარდიძე**

სულხან-საბა ორბელიანის უნივერსიტეტი * საქართველო
SULKHAN-SABA ORBELIANI UNIVERSITY LLC * GEORGIA
204426834